

138
№ 1920

საქართველოს
საბავშვო
ლიტერატურის
სამართავი
კომიტეტი

საბავშვო



6-22



წელიწადი 82-XVI

№ 8.

მაისი 1920 წ.

F-5821 493



ნაკადულის მკითხველებო

ზევით: აჩიკო ჯაფარიძე, ქვევით: მიშა და ნიკო ვარაზაშვილები და
ვახტანგი და მარო პაატაშვილები.

7-10-18 899
1075
ქვევით: №
ვახტანგი №
914



მშარვალი ანგელოზი

შატარას.



აიძინე, გენაცვალე,
პაწაწინა ბამბის ქულა,
ანგელოზო, ანგელოზი
ციდან შენთვის გადმოსულა.

ფრთებ-გაშლილი თავს გადგია,
გიფაქიზებს უმანკო გულს,
რომ აღგილი არა ჰქონდეს
შენში მავნე და მაცდურ სულს.

რა ხანია შავბნელ ღამის
სიყარყუმეს ჩაეძინა;
ცამ ღრუბლები გადიყარა,
მთვარემ შუქი მოგაფინა.

შორს ხევ-ხევში განიავდა
კუდიანი ქარიშხალი;

შენს ქორთა და ნათელ სახეს
ყარაულობს ზეცის თვალი.

ხვალ დილაზე მზის სხივები
ხუჭხუჭა თმებს შეგიმკობენ;
ყველა კარგი მოსავლისთვის
გივლიან და გდარაჯობენ.


დედის გულიც ფხიზელ სიტყვით
დაგლულუნებს გმირულ ნანას
და უმზადებს შენში არწივს
შენს სამშობლოს და ქვეყანას...

დაიძინე, გენაცვალე
მშვენიერო ბამბის ქულა;
შენს მფარველად ანგელოზი
მაღალ ციდან გადმოსულა.

ფრთებ-გაშლილი თავს გადგია,
გიფაქიზებს პაწია გულს,
რომ ადგილი არა ჰქონდეს
შენში მავნე და მაცდურ სულს.

შ. მღვიმელი.





თაგუნიას თაგკადასაგალი.

(ვუძღვნი ჩემ დას—ბაბლიკოს).

(დასასრული).



თმ გამომეღვიძა, ისეთი ტკბილი და
სულის-წარბეცავი შეძწვარი ნიგოზის
სუნი მეცა, რომ გასმორებაც კი დამა-
ვიწყდა და ისე გამტერებული დიდხანს
ველაზავდი მშვენიერი სუნით გაქლენთილ ჭაერს ახლა-კი ზირ-
დაზირ თახჩისკენ გაჟეშვავრე.

ბნელოდა. ეტეობოდა, დაღამებულიყო. ოთახში ფშინჯა ისმო-
და. გულადგა გაფსწიე იმ ალაკისაკენ, სადაც ეველი მეგულებო-
და; მაგრამ ამაოდ! ვერც ეველი ვნახე, და ვერც ჭურბბის
ქილა. თახჩა სულ ცარიელი იყო. სამაგიეროდ ერთ გუნჭულ-
ში მაკოთულის კალათა დამხვდა, რომელსაც მსოფლოდ ერთი

შესაჯალი ჰქონდა. კალათაში შემწვარი ნიგოზი ეკიდა ჩახკაღ-
ზე. გამცინა. „აჰ! თქვენ გინდოდათ ამაღამ მშვიდი ჟო-
ფილიაჲ, და ამიტომ გავილაგებთ თხნიდან უველაფერი?
მაგრამ არა, ღმერთი მოწუალება და ეს კალათა შემწვარი, და-
წითლებული ნიგოზის ღებანით მაინც დაგვიწუებით ქეთქი!“
გაუოუქრე მე და თამამად შევძვერ კალათაში და სურა დაუწვე
ნიგოზს.

„იუ! იუ! რა გემრიელი!“ — ვიძახდი და უღარდელად შე-
ვამცოდი. უცნოვ ჩემს უკან რაღაც დაჩხაკუნდა. შემძინდა.
გაუიქცი უკან, მაგრამ ვერსით ვერ გავედერი. ეს რკინის
ფიცარი, რომელიც კალათის დერეფნად მომეწვნა პირველად,
ასლა კარების დანიშნულებას ასრულებდა. შიშისგან გული კი-
ნაღამ წამივიდა. აქეთ-იქით ვეხეთქებოდი, მაგრამ ამაოდ: არ-
სათ გასაძვრენი არ იყო.

„ჰმ! ზარფელი და უკანასკნელი იუოს ჩემი ამისთანა მი-
ვიწუებულ კალათებში შესვლა, თუ გადაურჩი!“ — გაუიქლე გუნე-
ბაში და სასოწარკვეთილმა კალათის მკუთულს დაუწვე ღრძნა.
რაღა ასაწერია ის ღამე, რომელიც საფანგში გავეტარე! რამ-
დენჯერმე მომაგონდა ჩემი დედა და მწარედ აუქეთინდი. ეჰ!
ცუდია გამოუცდელიობა, მაგრამ გამოცდილების მოპოვებაც რომ
ძვირად ჯდება ხოლმე!

ამასობაში გათენდა კიდეც. ბებერმა გააღო თახჩა და სიხა-
რულით აღსაჲსე თვალები შემომანათა.

— დაუჭერია, ვანო, შვილო, დაუჭერია! მოდი მოკალ, ბი-
ჭო! — დაუძახა დედა ბებრს თაჲის შვილს და საფანგთანად თახ-
ჩიდან ტახტზე დამსვა. ვანო მოვიდა, ჩხირი შემომიხიკინა,
გაეცინა და თაჲის ზატარა მძის დაუძახა: —

— ლუკა, ეს თაგვი ისე მოგვალათ, ზი, ზეტრემ რო გვასწავლებ. კანაფი მოვადბათ კუდზე, შერე გამოუშვათ საფანგიდან კანაფზე დაბმული. კანაფს შე დაფიჭერ, შენ ნაფთი გადახსნი ტანზე და წუმწუმა მოუკიდე!



— ზი გაგიწერათ დიქროთი, — გაუიფიქრე გუნებაში: — მოგვალა სომ მოგვალა, მაგრამ ასე უდიქროთად დატანჯვა რაღა უბედურებაა-მეთქი. ბაღანი სურგზე ვაღუსე დამიდგა. კანაფი, ნაფთი და წუმწუმა უკვე მხად იყო: ვანომ ესომი გამიტანა და კანაფის ჩაბმა დამიწყო. დიდი წვალუბის შემდეგ კუდზე კანაფი მაგრად შემაბა და საფანგის კარი ასწია ფუთიანფით აფვარდი გარედ და დიდი ნახტომი გაუბაკეთე...

კანაფი დაიჭიმა, კუდის ტუაჟმა ვეღარ გაუძლო ამ ძაღდატანებას და იმ ჯღაგიდან სადაც კანაფი იყო ჩაჭერილი, კუდის

ბოლომდე სულ გადაძვრა. თუმცა სამინლად მეწოდა კუდი, მაგრამ მაინც ისეთის სისწრაფით მოუსწი განარებულმა, რომ სულ მტკეპრი აფაფენე.

— ბიჭო გაიქცა! — უკუდო გაიქცა, ვანო! — უვიროდა ჰატარა ბიჭი და მომდიმარის სახით მიუერებდა, თუ როგორ გაურბოდი. არ ვიცო სად მოვიკრიფე იმოდენა ძალი; ელვის სისწრაფით გადავირბინე მთელი ესო და ბელლის კარების კარები შევძვარი.

თავი IV

ვიმ! ძლივს დავისვენე, სული მოვითქვი იმ დიდი გაჭირვების შემდეგ, რომელიც თავს გადამხდა. მე დიდ ბელელში მოვიკალათე. ბელელი სახსე იყო ჰურისა და სიმინდის ტომარასა ცალოებით, ჩურჩხელებით და თათარით სახსე ეუთებით და ურმნის ჯაგნებით. მე თბილი საწოლი მქონდა გამართული სორობლით სახსე საცალოში; დილით იქ ვკოტრიალობდი, ყთა-მამობდი და მერე საჭმლისთვის გამოვდიოდი. შევექცეოდი ჩურჩხელას, თაიარას და მერე ჰირს ვისუფლებდი ურმნის ტბილი წვენი. მე მეგონა სულ ასე გავატარებდი ჩემ სიცოცხლეს, მაგრამ ბედი კიდევ სხვა განსაყდელს მიმხადებდა. ერთ დამეს, როცა მე ჩემ საცალოში გულარეინად ვიუფ მოკალათებული, გაიღო ბელლის კარები და შემოვიდა ორი კაცი, რომლებსაც წინ ვანო მოუძღოდა სახთლით ხელში.

— აი ეს საცალოა, — წარმოთქვა ვანომ და ხელი დაადო ჩემ საცალოს. — ახლავე წაიღებო?

— ახლავე უნდა წავიდოთ. ეველაფერი მხად არის; ურები გვიცდის. უუღიც სომ ჩაგაბარეთ!?. მიუგო ერთმა კაცმა მცო-



რე ხანს შემდეგ და ვიგრძენ, რომ ჩემი საცალო მესხი და სათიკენლაც გახსნია.

— სიო! — გაისმა მეურმის სმა;

ჩემი საცალო ურემზე შეასკუპეს სხვა საცალოებთან ერთად.

ურემი დაიძრა და ჭრივლით გაუდგა ქალაქის გზას. ამრიგად სოფელში ნაჟიდ ხორბლის საცალოში მეც გასვლით და ვაჭრებთან ერთად მეც ქალაქისკენ მივემგზავრებოდი.

თ ა გ ი V

დილა, ადრიახ უკვე ქალაქში ვიყავით. ურემი დადგა. ჩემი საცალო კვლავ შეირსა და კიბეებზე დაეშვა. სინესტე ვიგრძენ. საცალოს ჭუჭრუტანასთან მივცოცდი და დავინახე, რომ ჩემი საცალო უკვე ნახევრად ბნულ და ნესტიან სარდაფში იდგა. ვაჭრები გავიდნენ და კარები მაგრამ ჩაკეტეს.

მე ისევ სარდაფს ვათვალიერებდი, რომ უეცრივ იატაკიდან ფეხუნი მომესმა. ჩავისედე და დავინახე ოცამდე თაგვი. ძალიან გამეხარდა; ასე მეკონა დაკარგულ დედ მამას მივაგენი მეთქი. ამოვსტი საცალოდან და სულ ტრიალით ჩავგორდი ძირს. თაგვები ჯერ დაფთხნენ, მაგრამ მალე გარს შემოძერტნენ. წინ წარმოსდგა ჰაზა-ჩემივით გაჭადრაფებული თაგვი და მომძრთა:

— მე ამ სარდაფის თვითმწურობელი მეფე ვარ, უველანი მე მმორჩილობენ, და თუ შენ არ დამემორჩილები, — მოგკლავთ!

მეტე რა ღონე მქონდა! უნდა დაემორჩილებულიყავ, მით უმეტეს რომ დავინახე — უველა თაგვი შეიარაღებული იყო გრძელი და ბასრი ქინძისთავეებით. მოწინებით თათზე ვმძისვიე მეფეს და მორჩილება გამოუცხადე.

— აბა, თუ მართლა ჩვენი ქვეშევრდომი გინდა გახდე, ახ-

ლა გამოხდებო. ამდენი ჩვენ ბრძოლა გვაქვს მესობელ სარდაფის
თავუბთან. იმ სარდაფში თათარს, ჩურჩხელა და მქარბი ბუ-
რია; ჩვენ კი აქ სორბლის მეტი არა გვაქვს რა და ჩვენ გვინ-
და ის მდიდარი სარდაფი ხელში ჩაუკდოთ. მენც უნდა წამო-
ხვიდე სამოძრად.

მითხრე მეუკ და ქინძისთავი გამომიწოდა. მე მოწინებით
ჩამოუაროთ და დაბლა თავი დაუქარი. მეუე წავიდა. მეც სსუა
თავუბებს მეუეერთად და თმის სამხადისს მეუედექით.

დალადა კიდევ. სარდაფის ჰატარა ფანჯარაში მოვარის
მერთალი სსიუები შემიძარა. ჩვენ დავირახმენით, თითო-
თითო დაუმწეროდით და იმ სურელისავენ გავუმეზავრეთ,
რომლითაც მდიდარ სარდაფში უნდა გავსულთავით. თითო-
თითო გავუმერთ სურელში და მალე თავი ამოვავრეთ მეორე
სარდაფში, რომელიც სავსე იყო მქარითა და სსუა ტებილე-
ულობით. ჩვენ კვლავ დაუმწეროდით და გავსწიეთ წინ, მაგ-
რამ არ გადაგვიდგამს სუთი ნაბიჯი, რომ ჩვენს წინ გამოხდა
მტრის ღამქარი. ერთმანეთს ვეგერენით და მეგვეჩნა გულ-
მეშხარავი ბრძოლა.

უეცრივ თვალი მოვკარ, რომ ჩვენ მეუეს ერთმა უსარ-
მასარმა ვირთავამ ქინძისთავი მოუღერა. ელვის სისწრაფით
გადავსტი მათვენ, დავიღუნე, ვირთავას გვერდიდან მოვექმეც
და ჩემი ბასრი ქინძისთავი მიე გულში ვატაკე. საცოდავად
დაიჭერიზინა სწვალმა და უსულოდ დაეცა იატაკზე. მეუემ
დიდი მადლობა გადამიხდა და უნდა ეკონა კიდევ ჩემთვის,
მაგრამ უეცრივ ერთის მხრიდან ორი მტერი დაგვეცა. მალე

შემოგვიტყეს, მაგრამ მე ჩემი მძლავრი ძეგლავის შემოქნევით
 ორივენი ჩემ ქინძისთავზე წამოვაგე.

მკვდრებსზე და დაჭრილებზე ვსტუნავდი. სისხლში ფეხები
 მიცურდებოდა. ირგულივ წრიანნი, ჭეიანნი, ფაფხური და
 კბილების ღრჭენა მოისმოდა. ერთმა მტერმა ქინძისთავი გულ-
 ში მომიდურა და უქველად გულს გაძიებოდა, რომ გვერდზე
 არ გადაუმტარიუავი. მას ფეხი გაუსწლტა სისხლში და იატაკ-
 ზე გაგორდა. დაუჯექი შემოდან და ჩემი ქინძისთავი კეფამდის
 გაუშტარე.



მალე მტერი შედრება და უკუიქცა; ჩვენ ეველანი ამოჟე-
 ლიტეთ, ისე რომ დიდი მკვდრების გროვა დავაყენეთ, ომი გა-

თავებული იუ. ჟინც კი გადამრჩა, სანოვაგეს კცა; ზოგი მხარში შეძვრა კასისსლიანებული ფესვებით, ზოგი თათარის და ზურსნელების ეუთებში; მე ზატარა ჭრილობა მივიღე და ერთ კუთხეში მივჯექი და ჭრილობის შესვევა დავიწყე.

ამ დროს მეფემ ბრძანება გასცა:

— მხარე სულ ჩემად და არავინ გაბედოს მხარის სელის სვლა! თათარა, ზურსნელა და სხვა ტკბილეულობა თქვენი იუოსო.

თავებში დიდი არეულობა ასტედა. ზოგნი ამბობდნენ, მეფემ როგორც ბრძანა, ისე უნდა მოხდესო. ზოგნი კი ამბობდნენ, მხარეშიაც წილი გვაქვს და ვეღლაფერშიაცო.

ამასვე დიდი უთანხმოება გამოვიდა. მოხდა განხეთქილება და მალე მეფის მომხრენი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეპყუთნენ. მწარე ბრძოლის შემდეგ მეფის მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს და მეფის მომხრენი მეუბრალებლად ამოხოცეს; მეფე კი შეიპერეს, აჭყარეს იარაღი, ელსე კარგა მსხვილი კანაუი წაუჭირეს და საჯაროდ „ვაძან“ ევირილიო ჩაგლეჯილ სკამზე ჩამოჭვიდეს.

— წავიდე, ცოტა მხარე ჭამო“ — გაუფიქრე და გაესწიე მხარის ტომრისავენ. მიუვდი, მაგრამ ვინ გაჭმევს!. ერთ ტომარას ხუთ-ხუთნი ეპატრონებიან. ერთმანეთს ედავებიან, ეჩხუბებიან; ერთმანეთს ჭარავენ სარსოს; თუ გაუჭირდა — მძა მძასაც კი ჭკლავს. ერთი სიტყვით — დიდი უბედურება დატრიალდა. წინად თუ ერთი პატრონი ჭეხდა ვეღლაფერს, ახლა ათასი გამოუჩნდა. გადავწყვიტე აქედან გაუმარულიეავ. მივჯექი ისევ ჩემ კუთხეში და დაუფიქრდი. ამ დროს ჩემს უკან ფაჩუნი მომესმა. მივიხედე და დავინახე ახალგაზრდა თავგუნია ქალი. საწვალმა ცრემლით საწესე თვალები მომაპერო და შემესვენა:

— მე ამ სარდაფის მეფის ქალი ვარ. საწყელი მამა ჩემი
 თქვენ მოჰყავლით, და ახლა სრულიად თბილი და უსასღკარო
 დაფრნი. სუ მომკლავ. მე აქ კედელში სურელი ვიცი, რომე-
 ლიც ერთ მარტოხელა მოხუცის სახლში, შკაფის ქვეშ ადის;
 მე იქ მინდა გადაუსახლდე. სუ დამიჭერ, თუ ცოტადენი ჰატი-
 თსნება მოიპოვება შენში.

ძალიან გამესარდა. მეც გაუჩიარე ჩემი განზრახვა, რომ
 აქედან წასულა მინდოდა და ორივენი განზრებულნი გზას გაუ-
 დქით.



ბევრი ვიფიქრეთ კედლის სურელში და ძლივს-ძლივო-
 ბით აუძვერით მარტოხელა მოხუცის თბილ ოთახში.

ჩვენ წელა გამოფიცურდით შკაფის ქვეშიდან. მოხუცი ჩაის
 მიირთმევდა. თვალი მოგვეკრა და ზურის და უფლის ნამტყეა-
 ბი გადმოგვიყარა.

უკვე კარგა ხანია, რაც მოსუცის ოთახში უცხოვრობ ჩემი ცოლშვილით. შკაფის ქვეშ დაკეპული გვაქვს რბილი მატედი. ეს ჩვენი ბინაა.

მოსუცს ძალიან უყუარებარ; როდესაც ის სწერს, მეც იქვე უსივარ მაგიდაზე და გაფაციცებით თვალებს ვადევნებ კალამს; ამიტომ წერა და კითხვაც ძალია უისწავლე და ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს ჩემი მოკლე თავგადასავალი და ჩემი ცხოვრების მიმოხილვა დაწერე.

გუგანარვილი





მაშინ გაელვძება.

როცა დილის რიჟრაჟზე
ლაშის ბინდი ირღვევა,
და ზეცის ლურჯ ბაგეზე
ლიმი ოდნავ ირხვევა;

სიო ფოთლებს რო შმუშვნის
ნელი ჩამოქროლებით,
ყვავილები რო თრთიან,
დატვირთული ფოთლებით;

ფრინველები ჯერ ფრთხილად,
მრავალ კილოს არევით
ფრიამულს რო იწყებენ
ხმებით — ნამძინარევით, —

— მაშინ გაელვძება,
მაშინ ჩემ ცელქ ბიჭიკოს,
რომ ერთად ფრინველებთან
იფრინოს, იჭიკჭიკოს!!!

ჰა, ლოგინში წამოჰდა
და ქიქიკი დაიწყო,
ბუდიდან ასაფრენად
ფრთები უკვე აიწყო;

აგერ ტანზე ჩაიცვა,
მინდვრად მიეჩქარება,
იქ ყვავილებს შეჰკონავს,
პეპლებს მიეპარება;

თავდაღმართში ჩაირბენს,
ნაკადულის ესტუმრება,
მის ნაპირზე კრავს ნახავს, —
—მივა, გაეხუმრება;

იქვე თბა თუ იპოვა,
იშასაც ხომ ეწვევა, —
თბა მოჰკურცხლავს ის მისდევს,
მაგრამ ვერ დაეწევა;

დახტის მკვირცხლი ბიჭიკო,
ისე, ვით წყარო ტინის,
ყველაფერი მას ეტრფის,
ყველაფერს ის უცინის;

მწვანეზე გაგორდება,
ყვავილებს ჩაეკვრება,
ოცნება გაიტაცებს,
დედა მოენატრება;

და მსწრაფლ ზე წამოხტება,
შინისაკენ გაჰქრება,
მივა სახლში და დედას
ჰკოცნის, მკერდში ეკვრება.

ი. სიხარულიძე.



პატარა ქაშიმა.

(ქართველ-თათართა ომიანობიდან).



დემ დასაუღლეთის მთებზე მიდო ბრწყინ-
ვალე თავი და ნელ-ნელა დასუჭა თვალი.
მაისის საღამო წამოდგა; მან კრძალვით
და ღელვით გადაუსო ნიავის ხელი ეანე-
ბით ჩადგებულ მინდვრებს და ბუნდად
რაღაცა წაელანარება, რამაც შეარეა იგი: ამბავი ერთი კიდი-
დან მეორემდე გაგორდა თავთაუების სღვაზე ჭავლად.

ჩვენი ჯარი, მოქანცული ბევრი ომით და მკსავრობით,
ჩუმიდ გაიჭიმა რკინის ჯის სადგურიდან თვალუწვდენ მინ-
დვრებისაკენ, რომელთა ბოლოშიც, მთების გადაღმა უნდა შე-
სვედროდა მტერს—თათრების ჯარს.

უკან მიდიოდა საარტილერიო ბატარეა.

შელამდა...

მიუახლოვდით საომარ ადგილს, სადაც ისეთი სიწყინარე
იყო, თითქო აქ მუდამ ღამე არისო.. ბინდ-ბუნდში, აქა-იქ
მთის ღელეებში მოსჩანდა ოდნავ ჩასხილული თათრის სოფ-
ლები, რომელნიც ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, თითქო
იქ არაფერს ცხოვრობს და აღარც იცხოვრებსო.

— ნუთუ იმ სოფლებში არაფერია სცხოვრობს? — ვკითხუქ ჩემს ამხანაგ ჯარის კაცს.

— როგორ არა... ალბად ცხოვრობენ.

— მაშ რატომ არ ეტეობა; ამოდენა გზა გაუიარეთ და ერთი მცხოვრებიც არ შეგვხვდა; ამასთანავე შებინდდა და სანთლები არ ენთება.

— ალბად ჩვენი შეეშინდათ და დაიქცნენ, — სთქვა ამხანაგმა, და ჩუმად განვაგრძეთ გზა.

ჯარი გადასცდა მთას, სოლო ჩვენი ბატარეა დაბანაკდა დეფექში.

ღამემ დაჰკიდა ფრთები.

შეგ რო ჩადიოდა, ზატარა ქაშიმა თავიანთ სახლის ბანსე იდგა და შეშინებული გულის ფანცქალით გაჰქურებდა მათეკნ მოძავალ ჯარს იმ გზით, რომლითაც მას ძროსები დაუდიოდა სოლმე მინდორში და საღამურს უკრავდა. ჯარი თანდათან უასლოვდებოდა სოფელს, და ქაშიმამ არ იცოდა რა ექნა. ამ დროს ქაქანით მისცვივდნენ მშობლები, მოკრიფეს ბარგი-ბარხნა, გაირეკეს საქონელი ტუისკენ და ქაშიმაც თან წაი-უვანეს.

ქაშიმამ აუხსნელი საფრთხე იკრძნო და აღარაფერი ჰკითხა მშობლებს.

მათ მიჰქუა მთელი სოფელი.

ისინი შორს გადიკარგნენ ტყეში და იქ დაიმაღნენ.

ქაშიმა შეუძლოდ გახდა და სმა-ამოუღებელივ ანიძნებდა მშობლებს, რომ მას სიარული აღარ შეუძლია.

დედაკაცები და ბავშვები დაბანაკდნენ, ხოლო მამაკაცებს
 საქონელი უფრო შორს გარეკეს და თან გაჰყვნენ.
 ქაშიძე დედასთან დასტოვეს.

* *
 *

როცა მიბრუნდნენ, კრიშა თათარმა, რომელიც ქალაქში
 ნატარი იყო და წერა-კითხვაც იცოდა, უთხრა გაქცეულთ: ნუ
 მივრბივართ; ჩვენ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე თათ-
 რები ვართ, არაფერი დაგვიძუებია ქართველებისთვის, და ამი-
 ტომი არაფერს გვერჩის საქართველოს ჯარით. მაგრამ ამის
 მოქმედი თითონაც გარბოდა. მით უმეტეს ქაშიძეს კანკაღმა
 უმატა და ვეღარა სუნთქავდა. როცა დადგნენ და ცოტა სული
 მოითქვა ქაშიძემ, დედასა ჰკითხა კანკალით:

— ქართველები დაგვსოცავენ, დედი?

— სუ! — უთხრა დედამ და აქეთ-იქით მიიხედა შემინებულმა,
 სომ არავინ დაგვინახა, რომ აქ დავიმალეთო.

— დედი, წავიდეთ, სხვაგან დავიმალეთ, თორემ აქ და-
 გვინახავენ, — უთხრა ფრთხილად ქაშიძემ დედას და უური დაუ-
 კდო ტეუში.

მიმისაგან სულ დაავიწყდა ქაშიძეს თავის ტეე, მინდორი,
 სბორები, ძროხები და ცხვრები, რომელთაც იგი ისე გულ-
 მოდგინედ ჰმწესიდა საღამურის ღულუნით.

სამხნელი სიჩუმი ჩამოვარდა. ქაშიძე სმენად იქცა და ცოტა
 ხანს შემდეგ შორს უური მოჰქრა ბუნდად ლაპარაკს, ხოლო
 ვერ გააჩნია — თათრული იყო, თუ ქართული.

— დედი, ქართველები მოდიან.

— სუ! — უთხრა დედამ, და ორივენი გაიქმინდნენ.

— რა იქნენ, დედი, მამა-ჩემი, ან ჩვენი კაცები?

— სუ! — გაანუმა დედამ და მერე ჩუმად, სიფრთხილით უთხრა: ისინი შორს გაიქცნენ, რადგანაც ჩვენ, დედაკაცებს და ბაბუშებს, სკლს არ გვასწავებენ.

ქასიძას უფრო შეშინდა.

ისევე საშინელი და შიში სიხუბე იყო.

დაბე გაჭიანურდა, თუცა ისე გათენდა, რომ ვერ გაიგეს.

დილით ქასიძა ფეხ-აკრეფით გამოძვრა ქარაფიანიდან და თვალი მოჰკრა მესობლის ბიჭს სოინას, რომელმაც რაღაცა-ზე გაიცინა. ქასიძას გაესარდა და იფიცრა: ალბად საშიში არა მოგვედის-რა, თორემ საინა არ გაიცინებდაო.

ორმა დღემ გაიარა ასე.

—

ქასიძას მამას მოსწეინდა ასეთი ეოფა და სთქვა: მოდი წავალ ტუ-ტუ, გავალ გზას, საიდანაც სოფელი ჩანს და გავიკებ, რა ხდება იქაო, დაიკუსა და ტუ-ტუ დავმო თავ-ქვე გზისაკენ. როცა გზას მიუახლოვდა, მეტი სიფრთხილით ადგამდა ნაბიჯებს, თითქო მონადირე ფრინველს ეპარებო. ტუიდან გზა რომ დაინახა, გული აუტოკდა შიშისაგან და სისხლი თავში ეცა. მისვეული იყო და იმ მისვეულის ეურში გაჰყო თავი, რომ არაფინ დამინახოსო, მაგრამ უცბად წაწედა ქართულ ჯარის კაცს, რის გამოც ვეღარ მოახერხა, რა ექნა. დამალვა აღარ შეიძლებოდა და გადასწევიტა: რაც იქნება — იქნება! გაბედვით მივალ ჯარის კაცთან, ვითომც სულაც არ ვიძალეობიო და გაეშურა მისკენ. ჯარის კაცსაც გაესარდა, რომ ერთი თათარი მაინც ნახა იქაური მცხოვრები და დაეკითხა: —

— მობდილო, შენ სადაური ხარ?

თათარს გაეხარდა ამისთანა მშვიდობიანი შეკითხვა და გაბედულად მიუგო:

— ამ სოფლისა ვარ, თქვენ რომ დაბანაკებულხართ.

— ძერე, სად არიან დანარჩენები?

— ზაფხულია, და ხომ მოგვსვენებთ თათრის ამბავი, მთაში წავიდნენ, — იცრუა მან.

— ძერე, არ შეგიძლია საიდანძე მაწონი მოგვიტანო, თქვენ მაწონი გექნებთ.

ეს უფრო მეტად გაეხარდა თათარსა და უთხრა:

— გონი, რომ გიმოყით მაწონს.

ქაშიძის მამა საჩქაროდ გაიქცა ტყე-ტყე გაქცეულების სახარებლად.

უველანი გარს შემოეხვივნენ და გაფაციცებით უსმენდნენ.

უველას ღიმილი დაახნდა სახესე. მაგრამ ქაშიძა? ქაშიძა ძალიან აუად გამხდარიყო და ვერ იზიარებდა საბჭოურ ამბავს.

მამა დადონდა. შემდეგ ზარმაცად წამოავლო მაწონის ქილას ხელი და წავიდა.

—

ჯარის კაცი, რომელიც გზას დარბაზობდა და მაწონი სთხოვა, იქ აღარ იყო: გზას გაჭეოლოდა. ქაშიძის მამა გაეძურა სოფლისაკენ, სადაც ჯარი იყო დაბანაკებული. ზირველად მან დაინახა კარავი, რომელსაც წითელი ჯვარიანი დროშა ჰქონდა მდებარე. მივიდა და იკითხა:

— მაწონი მთხოვა ვიღაცამ, და ის აქ ხომ არ არის?

კარგიდან ვიღაც სქელი, დარბაისელი კაცი გამოვიდა და უთხრა: ჩვენ ავიღებთ მაწონსაო. ფასიცა ჰქვითხა, მაგრამ თათარმა ფულზე უარი განაცხადა.

მაწონი მეტად მოეწონათ, ოღონდ თათარი ფულს არ იღებდა:

— გეუიციებით ღლახს და ჩემი ზატარა ქაშიძას აუადმოუფობიდან გამობრუნებს, ფულს არ ავიღებ, ფეხქაშად მოგართვით.

— როგორ, გეაქვს ვინმე აუად? — ჰკითხა კარავიდან გამოსულმა სქელმა და დარბაისელმა კაცმა.

— დიას, ჩემი ზატარა ვაჟი ქაშიძა გამსდარა აუად.

— მე ექიმი ვარ წითელი ჯვარისა, მოიყვანე ძენი ქაშიძა. ჩნახუ და წამღებსაც მივცემ — უთხრა ექიმმა.

თათარს მეტის-მეტად ესაბოვნა ესა და თავდაბლად საღამოს აძლეუდა მადლობის ნიშნად. მას ვერ წარმოედგინა, თუ ეს ეკელაფური მართალი იყო: რა გვინა, და რასა ჰხედავდა! მას საღამო მისცა და წავიდა.

—

თათრებმა, როცა გაიგეს, რომ ქართველი ჯარი მათ არაფერს ერჩის და მხოლოდ მძვიდობიანობა მიაქვს მძვიდობიან საღსოან, გამოძურნენ ტუიდან და აშკარად დაიწყეს სიარული. იმაჲ დღეს რამდენიმე თათარმა მაწონიც წაიღო ჯარის-კაცებისათვის სამსპინძლოდ, მაგრამ არც ერთმა ჯარის კაცმა არ აიღო მუქთად მაწონი. ამან უფრო გაახარა თათრები და იმ დამეს ახლო-მახლო სოფლებში ცეცხლებიც გამოჩნდა.

— შეიღო, ქაშიძა, — უთხრა მამამ ქაშიძას: — როგორა ხარ? აბა ადუ ექიმთან უნდა წაგიყვანო.

— სად არის ექიმი?

— ქართველებსა ჰეაფო.

ქაშიძას შეეშინდა და გაჩუმდა.

— მე იქ არ წამოვალ, — სთქვა ბოლოს მან.

— მე ორჯელ ვიყავ, შვილო, და უთხარი, რო აჟადა სარ. ექიმმა მითხრა მოიყუანე და მოვარსენო. მაწონიც უნდა მოვართვათ ექიმს.

ქაზიმა მძიმე-მძიმედ ადგა და გაჭედა.

ესოში მუხლი ეკუთუბოდა შიშისაგან და ნაცრის ფერი ედო.

— არაფერი სტკივა, — სთქვა ექიმმა: — სუსტი გული აქვს და შეჭმინებია. ამის წამალს მივცემ, — დაასრულა ექიმმა და თავსე ხელი გადაუსო ქაზიმას, თითქო უკვდავებას წყალი დაბლქონესო, გამოცოცხლდა იგი და აქეთ-იქით დაუწყო თვალღერება იქაურობას. ბოლოს ქაზიმას მამამ დიდი მადლობა გადაუსადა ექიმს და წავიდნენ შინ.

მეორე დღეს რო გათენდა, ქაზიმამ მროსა გარკვა ბაღასზე, თან ერთი ქილა მაწონი წაიღო. მროსა ზედ მუა ბანაკზე ჩატარა და მაწონი თავის ექიმს მიაბრუნა, რისთვისაც დიდი მადლობა მიიღო. საღამოთი ისევ ისე ამოატარა ბანაკზე მროსა აქეთ-იქით უუბრებდა გაძლიერებებს, აღუდუნებდა საღამურს და მის სისარულს ბოლო აღარა ჰქონდა: თავს თავისიანებში ჰკრძნობდა,

ი. მკედლიშვილი.





რეზუსი

(წარმოდგენილი ანიკოსიგან).

1.



თ

”



ი

ს

ნიმუში
დასაწყისი

ჩ

მ



2.



თ

”



მეექვსე ნომერში მოთავსებულ რეზუსების ახსნა:

1. პარტი გაზაფხულის თვეა, 2. სპილოს სამშობლო ინდოეთია.



მიიღება ხელის მოწერა

1920

საქართველოს

დასუკრათიუბული

საჟიუჟილო ჟუჟნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსეა)

ჟურნალს სუბსიდიუ ეძლეუა კანათლები სიმინისტრო-
საგან. კამოდის გაფართოებული პროგრამით საგან-
გებოდ მოეწეულ სარედაქციო კომისიის სელმსლე-
ნელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთხელ.

წლიურად ორიუ კამოცეპის ფასი 150 მან.

ცალ-ცალკე 85 „

ნახევარი წლით 90 „

„ნაკადული“ რედაქცია, რუსთაველის
სახლის და დავითის ქუჩის კუთხე, მე-
2, ტელეფონი № 7—5.

ნაკადული.
„ნაკადული“

მისამართი
ქუჩის კუთხე